



ყოველ-კვირული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

კვირა, 30 სექტემბერი. 1907 წელიწადი პირველი.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„სანი“

გამოდის 1907 წ. 16 სექტემბრიდან, კვირამდე ერთხელ.

ერთი წლით ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ., ცალკე № 5 კ.

განცხადება—წინა გვერდზე პეკარი 10 კ. უკანასკნელზე 5 კ.

ფოსტის აღრესი: *Кутаись, печатня „Сани“*.

შინაარსი:

ქუთაისი, 30 სექტ.—არჩევნები ქუთაისში.—ცისკარს, ლექსი ზომლეთელისა.—სხვადასხვა ამბები.—ნაწყვეტები წარსულიდან, ივ. გომართელისა.—მოღვაწეთა მოღვაწეობა, წელკავისა.—ჩვენი ქალაქის თვითმართველობა, გრ. ნასარიძისა.—ღვთის მოსავე ეპისკოპოსი, უ—სა.—კაპიტალისტები დაირაზმენ, დათიკოსი.—ღედ-მამა, თარხანისა.—კორესპონდენტები.—

ქუთაისი, 30 სექტემბერი.

სათათბიროს არჩევნები მთელი ქუთაისის გუბერნიისაში დამთავრდა. თანახმად კანონისა, არჩეულია 38 კაცი. დარჩა მოსაწვევი მხოლოდ საგუბერნიო კრება, სადაც ყველა ამ „ვიბორშიკებმა“ თავიანთი წრიდან უნდა ამოარჩიონ დუმაში გასაგზავნი დეპუტატი. თუ მათ, ვისგანაც ყველაფერი მოსალოდნელია, რაიმე განსაკუთრებულ ზომებს არ მიმართეს, ახლაც ადვილი სათქმელია, თუ რა მიმართულების კაცი იქნება არჩეული ხალხის წარმომადგენლათ, რადგან „ვიბორშიკების“ დიდი უმრავლესობა, 38-ში 24 კაცი, სოც. დემოკრატების მომხრენი არიან...

ეს ფაქტი ჩვენ ბევრ რამეს გვეუბნება. ჯერ ერთი ის, რომ დუმაში სოც.-დემ. დეპუტატი წავა. სახელმწიფო დუმა ჩვენ არ მიგვაჩნია ქვეყნის მსხველ თილისმათ, მარა არც ისა გვგონია, რომ დუმის წინააღმდეგ „გაბუტვა“ სასარგებლო იყოს ხალხისთვის. დუმის გარეშე რომ სხვა, უფრო სწორი და მოკლე, გზა სჩანდეს—გზა ხალხის განთავისუფლებისა, და ამას დუმაში მონაწილეობა ხელს უშლიდეს,

მაშინ, უეჭველია, ბოიკოტი საფუძვლიანი იქნებოდა, მარა, როცა ცხადზე უცხადესია, რომ ამ „სხვა“ გზისთვისაც ერთი არ არის, ვინ იქნება დუმაში და ვინ არა, ხელის შემშლელი თუ ხელის შემწყობი, მარტო შავრაზმელები თუ დემოკრატიული ელემენტები, მაშინ ჩვენ ვალდებული ვართ ის გავგზავნოთ დუმაში, ვინც უფრო ღრმად გამოხატავს ხალხის გაჭირვებას, ვისაც ეს გაჭირვება შესისხლხორცებული აქვს, ვინც უფრო თავდადებული მებრძოლია. საკმარისია გავიხსენოთ პირველი და მეორე დუმა, გავიხსენოთ ის, თუ ვინ უფრო შეუწყო ხელი ხალხში შეგნების შეტანას, ვინ უფრო მედგრათ იცავდა ფართო მასის ინტერესებს: „უბრალო პროგრესისტები“ თუ მემარცხენე პარტიები, და მაშინვე აშკარა შეიქნება, რომ იმ გარემოებას, თუ ვინ მოყვება დუმაში, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. იმის თქმა, რომ „უბრალო პროგრესისტი“ უმჯობესია, ვიდრე სოც.-დემოკრატიო,—შეუძლია მხოლოდ ისეთ „სოციალისტებს“, რომელთა სოციალისტობა მარტო გარედან მიკოსებულ იარლიკს წარმოადგენს...

ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ერთი მხარე გათავებულ არჩევნებისა— იმათი თუ შეიძლება ასე ითქვას, გარეგანი მნიშვნელობა მომავალ დუმისათვის. გაცილებით უფრო ძვირფასია მეორე მხარე. მუშა ხალხმა, მთელი გუბერნიის გლეხობამ და წვრილ-ფეხა მიწათმფლობელებმა, ისევ სოც.-დემოკრატები აირჩია თავის წარმომადგენლებათ, ისევ ისინი იცნო თავის ინტერესების დამცველათ. ვისაც უნდა ამ მოვლენის ღრმა მნიშვნელობა სავსებით გაიგოს, იმან უსათუოთ უნდა გაითვალისწინოს ის განსაკუთრებული შავბედითი მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენი ხალხი იმყოფება. ეს ორი წელიწადია, რომ ჩვენს ხალხს არბევინ საუკეთესო შეილებს სტაცებენ, ხშირათ ქალებს აუბატურებენ, ადამიანურ ღირსებას უღახავენ, ქონებას უნიავებენ. ყველგან სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ყველგან ჩვენ ბედკრულ გლეხს დარაჯი ასასივით თავს წაადგა... უნდოდათ, ხალხი წელში გატეხილიყო, 1905 წლის მოძრაობა და მისი მესვეურნი ერთხელ და სამუდამოთ დაეწყევლა და ეთქვა, ხალხის მტერია სოც.-დემოკრატიაო. აკი სწერდა ტორი-მაჩოვი ერთ სატახტო გახეთში გურულებს ეზიზღება სოც.-დემოკრატემიო!

რეაქციასთან ერთათ ამოძრავდენ ჩვენი „ინტელიგენტებიც“ და მორთეს განგაში, „ხალხის მტერია სოც.-დემოკრატიაო“. თვითონ არაფრის გამკეთებელნი და მოქმედების ყოველივე უნარს მოკლებულნი, სხვასაც ხელს უშლიდენ, ვინც ხალხში იყო გასული. რა ჭორი და ცილის წამება გინდათ, რომ იმათ არ გავერცხვებოთ სოც.-დემოკრატებზე: ეს გლეხების გადატაკება უნდათ, ეს ქართველი ხალხის საჭიროებანი, სამშობლო ენა, სამშობლო ქვეყანა არა სწამთო, გადაშენების გზაზე ადგიანო, ხალხის ფულებით განცხრომაში სცხოვრობენო და სხვა ამისთანები და კიდევ უარესები. რეაქცია ფიზიკური ძალით და ჩვენი „ინტელიგენტები“ ათასგვარი ჭორებით ერთათ მოქმედებდენ, ერთსა და იმავე მიზანს ემსახურებოდენ—უნდოდათ, რომ ხსენებაც კი აღარ ყოფილიყო ხალხში სოც.-დემოკრატისა...

მაგრამ ხალხმა ეს მესამეთ არის საქმით გასცა პასუხი როგორც რეაქციას, ისე ჩვენი ქვეყნის „მარილთ“. ხალხმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ვერავითარი ფიზიკური ტანჯვა-ვაება, ვერავითარი ზნეობრივი წამება და

უმართებულო ცილის წამება ვერ გასტეხს-მას, ვერ ათქმევებს უარს აუტანელ ცხოვრების აუცილებელ გაუმჯობესობაზე და ვერ დააშორებს მათ, ვინც კაი ხანია ქირში ამხანაგათ გაუჩნდა.

აი ეს, ჩვენი ქვეყნის ჩაგრულთა და მაშვრალთა მხრივ ასეთი დაფასება, საუკეთესო ზნეობრივ ჯილდოს წარმოდგენს იმათთვის, ვისაც ხალხისთვის თავი შეუწყვიავს, და დეე ეს გრძნობა საძირკვლათ დაედოს კიდევ უფრო მხნე მუშაობას ხალხის უკეთეს მომავლისათვის.



პ რ ა ვ ე ნ ე ბ ი ქ უ თ ა ი ს შ ი .

22 სექტ. ქალაქის თავის თავმჯდომარეობით, მოხდა არჩევნები სამი „ვიბორშიჩიკისა“ ქალაქის მხრივ. შარშანდელ არჩევნებში საგრძნობლათ დამარცხებულ კადეტებს წელს იმედი მიეცათ. ისინი გაამხნევა ერთი მხრით იმ გარემოებამ, რომ დღევანდელ არჩევნებში მათ ჩამოშორდათ ორიოდ მეტოქე: ფედერალისტები და ესერები, რომელთა გავლენა ამ გამათავისუფლებელ ხანაში ქუთაისის გუბერნიასა და ქუთაისში ინტელიგენტურ წრეებს არ გასცილებია. მეორე მხრით მათ იმედი ქონდათ, ს.-დემოკრატები ქუთაისში დაქსაქსულაა, დღევანდელ რეაქციის პირობებში ვერ იმოქმედებენ, მასსაში აგიტაციას ვერ გასწევენ და ამნაირათ ბურთი და მზედანი ჩვენ დაგვრჩებაო. მარა ჩვენ კადეტებს, რომელთა უმრავლესობას სულ „პოლოჟენიეს“ მექონე ხალხი შეადგენს, რა აქვთ საერთო მშრომელ მასსასთან, რომ ამ უკანასკნელმა მათ თავისი წარმომადგენლობა ანდოს. მდამიო, მუშა ხალხი მათ იცნობს, ვინც მათებრ ტანჯულ-წამებულთა, ვინც მათებრ ათასგვარ გაჭირვებას აიტანს, მოსალოდნელ სხვერპლს არ მოერიდება და ენა-მლიქვნელობას არ დაიწყებს...

კადეტებმა ეს თითონაც კარგათ იცოდენ და ამიტომ უფრო მეტი იმედი ქონდათ თავიანთ დიდი ხნიდან ნაცად და მოხერხებულ ბრძოლას საშვალებისა. ეს საშვალებანი კი ქუთათურ მებრძოლებმა ერთი მეორეს ასწავლეს ამ 40 წლის მანძილზე ურთიერთშორის პირველობის ხელში ჩაგდების ბრძოლაში. ეს ბრძოლა კი აქაურ დაწესებულებებში აგერ მე-60 წლიდან მომდინარეობს და წარმოებს არა იდეურ, არამედ ვიწრო, კერძო ინტერესების ნიადაგზე. აქ მათ ხალხი არ ქირდებოდა, უმთოთაც იოლათ მიდიოდენ: ნაცნობ-მეგობ-

რობა, ნათესაობა, ხათრიჯამობა, ლხინი, ნაადიმი და როდესაც ესენი არ გასჭირდა, დანტერესებულ ბელადები, ოქრო-ვერცხლსაც გაუშვებდნენ „ХОДЪ“-ში და ამნაირათ იჩარხავდნენ თავიანთ საქმეებს საზოგადო დაწესებულებაში მოღვაწეობის სახელით.

ამ ხანების ჩვენებურ მოღვაწეთა სხარტულათ დახასიათებას განაგრძობენ ჩვენს გაზეთ „ცისკარში“ მისი თანამშრომელნი სათაურით „მოღვაწეთა-მოღვაწეობა“ და „საკვანტო“ და მკითხველსაც მაზედ მიუთითებთ და ჩვენ ისევ მათ ქუთათურ არჩევნების შთაბეჭდილებას გავუზიარებთ.

ქალაქის არჩევნები დანიშნული იყო ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. აქ დღეს დილა აღრიან, 7 საათიდან, როგორც შეფუერება 3 ივნისის საარჩევნო კანონს და დამატებითი ცირკულიარებს, საარჩევნო სახლი გარშემორტყმული იყო ცხენოსანი კახაკებით, ქვეითა ჯარისკაცებით, სტრაჟნიკ-გარადოვებით და საზოგადოთ ქალაქის მთელი პოლიციელებით თვისი მეთაურით. სახლის ახლო-მახლო კაცს არ ატარებდნენ. დარბაზში უშვებდნენ მხოლოთ ბიულეტენ-უწყებნიანებს და ისიც სათითოოთ... ერთი სიტყვით, ისე იყვენ ჩარაზმული პოლიციელები და სხვა „წესის მკველები“ რომ ბევრმა გაუბედავმა ვერც კი ისარგებლა თავისი უფლებით და შეშინებულმა შინისკენ იბრუნა პირი. ასეთია ბძანებაო, ამბობდნენ მოწესრიგენი, და ამომრჩევლებიც ძალაუუნებურათ ემორჩილებოდნენ.

კრებამდი კადეტები საკმაოთ ცდილიყვენ, რომ საარჩევნო კომისიაში თავისიანების დიდი უმრავლესობა დაენიშნათ, ხოლო მოწინააღმდეგე პარტიიდან, შარშანდელივით თითო-ოროლა ჩაწერათ შიგ, რათა პარდაპირი მიმდგურობა არ ესაყვედურებიათ მათთვის. ობიექტიური სამართლიანობა კი მოითხოვდა, რომ რაკი ღენერალურ ბრძოლას აპირებდნენ ობლათ, ოფიციალურათ უშემწეობოთ დარჩენილი კადეტებს, როგორც საარჩევნო კომისიის წევრები, ისე ყოველგვარ დაბალ სამწერლო მოვალეობის შემასრულებელნი, თანასწორათ გაენაწილებიათ ამ ორ მოწინააღმდეგეთა შორის. არჩევნების დროს ყოველ უბრალო მოვალეობის შემასრულებლების როლი, ორთავე კაცებს უნდა ქეროდა, რათა შემჩნეული დეფექტები, რაც სამწერლო ოთახებსა, კორიდორსა და დარბაზში ბევრი ხდებოდა, აღნიშნული ყოფილიყო ორივეს მხრით. აი რავგვარ საქმის წარმოებას და ოქმს ექნებოდა მხიშვნელობა და არა იმნაირათ საქმის გატანას, რომელსაც კადეტები კრების განხისათანავე დაადგენ და ოქმიც, რასაკვირელია, შარშანდელივით სრულიათ ცალმხრივი გამოიტანნს.

დილას, არჩევნები ჯერ კიდევ დაწყებული იყო, პოლიციამ დაიჭირა საარჩევნო სადგომთან, სადაც ხალხი თავმოყრილი იყო, ოთხი თუ ხუთი კაცი, რომელთაც სოც.-დემ. ბიულეტენები ამოუჩნდათ. ამით ისარგებლეს ს.-დემოკრატების მოწინააღმდეგებმა და უცბათ ხმა დაადგეს, რომ ვისაც ს.-დემ. დაბეჭდალ ბიულეტენს უნახავენ, ყველას ოჭერენო. ამან ისე დააფრთხო ხალხი, რომ ბევრმა ამომრჩევლებმა, ხიფათის ასაკილებლათ, მაშინვე გადაყარეს ის საარჩევნო ქალაღდები, სადაც სოც.-დემ. კანდიდატები ეწერა.

ვინც ყოველივე ამას გადურჩებოდა და ყუთთან მიაწევდა, იქაც საწყალ ამრჩეველს ახალი წამება მოელოდა, თუ ის, რა თქმა უნდა, ვინმე „ინტელიგენტი“, ან ჩასუქებული ვაჭარი არ იყო. შეხედავდნენ თუ არა მისულის დაფლეთილ ჩობას, ყუთებთან მდგომი კადეტების ასისტენტები, წინააღმდეგ კანონისა, რომლითაც ეს აკრძალულია, დაუწყებდნენ იმერულათ გამოკითხვას, ცარიელი ბიულეტენი აქვს თუ დაწერილი, ვინ დაუწერა, ვინ მისცა და სხვა ამისთანები.

— ვინ ჩავიწერა კანდიდატებო, დაეკითხა ამრჩეველ ურიას ერაი ასისტენტი.

— ბატონო, პარიყი მომივლია და ლონდონო, და ნუ თუ იმას ვერ დავწერდი ჩემი ხელითაო.

— ვინ გყავს ჩაწერილი? განაგრძო ასისტენტმა.

— ამას ჩემ ცოლსაც არ გაუუმხელო, ღირსეულათ უპასუხა ებრაელმა.

— დედა გეტირებათ ურიებსო, წაიბუტბუტა ასისტენტმა.

ასეთი სცენები იშვიათი არ იყო. მარა ყველა ამრჩეველი და ებრაელსავით გამოცდილი როდი იყო და ამის გამო ბევრი მათგანი ზემოთ აღნიშნულ გარემოებით შეშინებული, ასისტენტების გამოკითხვაზე ისევ იმის თქმას არჩევდა, პოლიციამ მოგვიტანა კონვერტო, ოღონდ კი ს. დემ. აგენტები არ ეხსენებიათ. თუმცა აშკარა იყო, რომ ამას შიშით ამბობდნენ და არა იმიტომ, რომ მართლა პოლიციას მიეტანა დაბეჭდილი კონვერტი. გულმოდგინე ასისტენტები ასეთ ამრჩევლებს ბიულეტენებს ართმევდნენ და ოქმში ჩასაწერათ მირბოდნენ. მარტო ამ გზით გააბათილეს მათ ოთხმოცი ბიულეტენი, სადაც ს. დ. კანდიდატები ეწერენ. ანა და გამოკითხვით შეშინებული ამომრჩეველი ხშირათ იმას ამბობდა, ჯერ არავინ ჩამიწერიაო და ნაგულეც ცარიელ ბიულეტენს უჩვენებდა. მას ცალკე ოთახში

გაიყვანდნ და ჩაუწერდნ თავიანთ კანდიდატებს და ასეთ განსაცდელში გატარებულ მდაბიო ხალხს დაეთარს უბნვედნ, რაც არჩევნებში გამოაბრძმედილ ინტელიგენტათვის აბა რა გასაქირია.

ხშირი იყო ისეთი მაგალითიც, რომ, როცა ასისტენტები შეუდგებოდნ გამოკითხვას, ვინ გიწერია ქალაღდშიო, ამრჩეველმა ან სახელი არ იცოდა კანდიდატის, მაგ., ექიმ ნასარიძისა, ვაწაძის და სხ. ან მამის სახელი და მარტო ამ მიზეზით ასისტენტებმა კიღვე ორმოცამდე ბიულეტენი გააუქმეს.

ასეთი უკანონო, ურცხვი და თავ-აშვებული გამოძიება იყო გამართული საარჩევნო ყუთებთან. მხოლოთ იმ მიზნით, რომ ს.-დემ. გაეშავებიათ. არჩევნების გათავების შემდეგ დამარცხებულმა კადეტებმა, დიღიმ ჩიკვაიძისა, ვაჭარი ვარდენ ჟორჯოლაძისა და თავად მეღიტონ აბაშიძის ხელით საარჩევნო კომისიაში საჩივარი არზა შეიტანეს, სადაცა სწერდნ, რომ ამომრჩევლის გამოკითხვა მარტო სამ ყუთთან იყო და ჩივიან, რატომ მეოთხე ყუთთანაც ასე არ მოაწყო თავმჯღომარებო. გათამამებულნი, საქიროთ კი არ სთვლიან დამაღონ, თუ რა უწესოებას ჩადიოდნ.

საარჩევნო კომისიაში და კორიდორში კადეტების ისეთი აგენტებიც დათარეშობდნ, რომლებიც არც კომისიაში შედიოდნ, არც სხვა რამე ოფიციალური საქმე ქონდათ, მაგალითათ არჩევნებში გამოჭახრაკებული დიღიმ ჩიკვაიძე მთელი დღე იქ დატრიალობდა და თავისეურათ „მუშაობდა“. როცა მეორე დღეს ბიულეტენები დაითვალეს, დიღიმ ჩიკვაიძემ ვითომ ხუმრობით წამოიძახა: „ბევრი ვხიე ს. დ. ბიულეტენები, მაგრამ ვერ აუვედიო“.

ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ კადეტებს ზოგიერთი ფედერალისტებიც ეხმარებოდნ.

ერთმა საუკეთესო ფედერალისტმა ექიმ ნასარიძეს უთხრა: „ძალიან მიყვარხარ, ძალიან პატივსა გცემ, მაგრამ მაინც რეაქციონერი დარახველიძე ვარჩიე და სხვაც ასე უნდა დავარიგოო“.

ასეთი ჭახრაკული მდგომარეობა მოაწყვეს ს.-დემ. წინაღმდეგ ყველა იმათმა მტრებმა: პოლიციის მოხელეებმა, კადეტებმა და ზოგიერთა ფედერალისტებმა, მარა, იმათ სამწუხაროთ, მაინც ს.-დემ. გავიდნ...

„ისარის“ კორესპონდენტი კი ნაძალადევი სიხარულს გამოთქვამს, ს.-დემოკრატები დაქვეითდნო, რაო და კადეტებს ძალიან ბევრით ვერ გაასწრესო.

რალა დარჩენიათ იმის მეტი, რომ ასეთი ოცნებით მაინც არ ინუგეშონ თავი.

რ.ო.

აღმოსავლეთის მკრთალმა სინათლემ ლურჯი ცის ძირი წითლათ მოხატა, გული ძლიერი გრძნობით მოხიბლა, თვისკენ მიზიდა, ეანდამატა.

მისმა მომლოდემ ვარდზე ბუღბუღმა ფრთა ფრთას შემოკრა, შეიფრთხილა, და სატრფოს გულის მოსალხინებლათ ნაზი სიმღერა ჩააწკრიალა

განთიადისა, ცისკრის გუშაგი, ტოროლა დაფრთხა შეინავარდა, თვისი რაკრაკი მოფინა არეს და ისარივით ცაში ავარდა.

შორს იქით-აქეთ მთა ბუმბერაზნი იდგენ უძრავნი და მღუმარენი, ვერც კი ამჩნევდნ, რომ ირკვეოდნ ღამის ძილისგან არე-მარენი.

მათ კიღვე ზამთრის თოვლი სჯორგავდა, გაშეშებული ქონდათ ძარღვები და მათ ცივ გულებს ვერა სწვდებოდა ცისკრის სინთლის მკრთალი სხივები.

ძირს კი ბუნებას ეღვიძებოდა; ფოთოლ-ბალახმა გაიშრიალა, ყველას სჯეროდა, ყველას ღრმათ სწამდა ნათელი ცისკრის დიადი ძალა;

რომ მას, სისხლის ფერს, თან ამოყვება მზე სანატრელი თავისუფლების და გათენდება თანაც დიადი დღესასწაული დაჩაგრულებს...


6. ზომლეთელი.



სხვადასხვა ამბები.

*** გუშინ 29 ენკენისთვის, ივანოვის ქუჩაზე ნახეს პირდაღმა დაზობილი სტრაჟების უფროსი სიზანენკო, რომელსაც ღვინიანი ბოთლი ეკავა ხელში და პირიდან ნასაქმსა და სისხლში დამხჩვალა.

*** ქალაქის არჩევნებზე, რომლებზედაც 22 სექტემბერს, ს. დ. კანდიდატები გავიდნ, დიღიმ ჩიკვაიძეს, ვაჭარ ვარდენ ჟორჯოლაძესა და „კნიაზს“ მეღიტონ აბაშიძეს შეუტანიათ საჩივარი, რომელიც საარჩევნო კომისიამ, წინაღმდეგ დავით ნიჟარაძის დიდი ცდისა, განუხილველათ დასტოვა, თავის არზაში დიღიმ ჩიკვაიძე და მისი ამხანაგები ჭორიკანობენ, ვითომ უწესოებას ხელი შეეწყოს ნასარიძისა, რობაქიძისა და ვაწაძის არჩევისათვის. ეს ის დიღიმ ჩიკვაიძეა, რომელმაც არჩევნებზე მთელ



დღის აღვირ-წახსნილი თავისუფლათ თარეშობდა, ს. დ. ბიულეტენებს ხეცდა, კადეტებისას აჩრიდა და მერე ცინიკურათ იკვეხნიდა, აი რა ვქენიო.

*** 28 სექტ. ქუთაისის ოლქის სასამართლო-ში გაიჩინა იასონ ჩიხლაძის საქმე. აბრალებდნ თო-ფის ჩამორთმევას ნაოლალების გამომძიებლისათვის. სასამართლომ გაამართლა ჩიხლაძე. იცავდა ნათიცი გეჭილი ა. გელაზაროვი.

*** 26 ენკენისთვეს სავაჭრო წინადაც სავა-ტეობთ გარდაც წინის კუბოში გათხრილ ტუნელიდან გაიქცა 37 პოლიტიკური და სისსლის სამართალით დასჯილი ტუსადები. ტუნელი მსვლბელ ვ. ფანცხვას სახლიდან გაუყვანიოთ 50 საყენსე. ტუნელი მსვლით ტუნელი შესანიშნავათა, თურმე, გაყვანილი. კაცი ამ-დგარი თამაშთ გაეტყუა; სურელი რომ არ ჩამოინგრეს, „პოლიტიკებით“ დამატრებულა და ისე მჭიდროთ ყო-ფილს ნაკეობი, რომ ზედ გარდამავალი ქუჩა, რომელ-სედაც ეტლები, ურბები და ჯარი დაფაოთ, არ დასანე-ბულა. ტუსადებს ტუნელიდან გასვლა ხასადილეს დაუწ-ყიოთ და როცა 6 საათსე სეირნობა გათავებულა, ოთხი ტუნელში მიმავალი ტუსადი შეუჩნეკა სადდათს და აუტენა ვეირილი და ისინი იქვე სურელში დაუჭირათ. 8 საათსე მთელი ქალაქი შეკრეს კახაგებით და ჯარის კაცებით და გარეთ არავის უშებდენ. ქალაქში საშინელი შიშინობა ჩამოკრდა. შეიქნა სახლებში, ფანებში, კენ-სებში ჩხრეკა-ძიება, მარა თვით ქალაქში ჯერ ვერავინ აღმოჩინეს. დაიჭირეს მრალათ კომიტანში ერთი ტუ-სადი ორიც სსკაცან და ძალსე ნაცემი მოიყვანეს ცისეში.

ტუნელი გაუკეთებიათ ცისის გვერდსე ვ. ფანცხვას კუბოდან. იგი ცოლიანათ დაიჭირეს მას თავის სახლი კუბოთი გაქირავებული ქონია, რადგან პოლიციას იგი თა-ვის სახლში არ დაუყენებია. გაქცეულებში ოთხიოდე აცის გარდა, დანარჩენები პოლიტიკურებია, რომელთაცმძიმე სას-ჯელი ქონდათ გადაწყვეტილი, ან ვადეკ მოკლადათე სა-სტიკი დასჯას. სენი არიან 1) ნიკო ასათიანი, 2) ჭიჭი-ვი ასათიანი, 3) ბასკა ტოლორდავა, 4) მაქსიმე ტო-ლორდავა 5) ჯაკე კახიანი, 6) ლავრენტი ზურაბი-ანი, 7) ფილიპე შარვაშიძე, 8) კრისტო ყუფარაძე, 9) თომას ჩხრეკანი, 10) გუდკან კატარავა, 11) გიორგი კობეტიანი, 12) ამბაკ კოლაჯა, 13) შვაგი კობახავა, 14) ჯაკე მიქია, 15) სახდრო წულუკიძე, 16) ტარიელ გავსავა, 17) აბაღან ბერძე, 18) ილია ჟულაღი, 19) ალექსანდრე ჩიჭოვანი, 20) ლავრენტი კუპანჯია 21) მოსე ბანტლერი, 22) თომას ჩუბინიძე, 23) დავით სულაიშვილი, 24) ალექსანდრე სტეფანოვი (იგივე სე-მიონოვი) 25) ლავრენტი გძელიშვილი, 26) მათე ბან-ძინაძე, 27) სერგი ჯოხაძე, 28) ტრიფონ ჭიჭინაძე, 29) პეტრე სავარდელიძე, 30) ვასილ კვიციანი, 31) შავ-ლე კვიციანი, 32) აკაბო მერკვილიაძე, 33) ისმაილ ჭიჭ-

ბურიძე, 34) ლეკან შენგელაი 35) პოლიკარპოვი, შვილი, 36) ვლადიმერ ბოჭორიშვილი 37) ლავრენტი ლომიძე.

*** აკერ ერთი კვირას ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მესამე და მეოთხე კლასის შეგირდები სასწავლებელში აღარ დაიარებინ. მიზეზი ამისა, რო-გორც გადმოქვეყნეს ის ყოფილსა, რომ მესამე კლასის ერთი შეგირდი ოსრებიძე, რადგან კვლარ სწავლობდა, თა-ვის თხოვნით გასულს სასწავლებლიდან და უთხოვნიას სა-სწავლებლის რჩევისათვის მისთვის კარგი ნიშნებისა მოწმობა მიეცათ. იმათაც, ოდონდ მოკვშორდეს, შეუ-სრულებიათ თხოვნა და მიუციათ მოწმობა.

ეს შეგირდი ამ მოწმობით ენკენისთვეში წელს ისევე მობრუნებია სასწავლებელს და განუცხადებია: აი ჩემი მოწმობა, ხომ ხედავთ კარგი ნიშნები მაქვს და მამ შემიდგე კლასში (მესამეში) უნდა მიმიღოთო. რჩე-ჩეკას ეს არ უქნია და ეს შეგირდი მესამეში არ დაუყუ-ნია. ამასე ამ ორი უკანასკნელი კლასის შეგირდები წა-სულ შათიდან გაიფიცენ და კლასში აღარ მივიდენ. დღეს რჩეკას ეს ორი უკანასკნელი კლასი სულ დაუ-ხურავს და აცხადებს, რომ სწავლის მსურველები თხო-ვნით შემიდება მივიღოთო. დანამდილებით არავინ იცის მართო ეს გარემობა განდა მიზეზი ამ ორი კლასის დაკეტვის, თუ ამას უფრო ღრმა საფუძველი ქონდა. საჭიოა სამდევლეობის მსვლბელმა სიესდმა, გამარ-კვიოს სასწავლებელში კაი სნიდან არსებული ანარმ-ლური მდგომარეობა—დამოკიდებულება შეგირდებისა და მათ აღმზდელებს შორის. ჩვენ არ ვეჭვობ, რომ ასე მცირემნიშვნელკან მიზეზის გამო დღეს გაფიცულიყვნენ უფროსი კლასის შეგირდები...



ნაწმენობი წარსულიდან. *)

იმ დროს, როდესაც რომაელებმა საბერძნეთი დაიპყრეს, რომის იმპერია წარმოადგენდა ნამდვილ ბიუროკრატიულ სახელმწიფოს; ის რჩებოდა მონე-ბის შრომით და მისი ძლიერება დამყარებული იყო ხიშტებზე. უმაღლეს მთავრობას წარმოადგენდა სე-ნატი, რომლის წევრებიც იყვენ განებივრებული და თვითნებობას მიჩვეული ბიუროკრატები. რადგანაც რომის სახელმწიფო ძალიან დიდი იყო და მას ექვემ-დებარებოდა მრავალი სხვადასხვა კუთხე, ანუ პრო-ვინციები, თვითეულ პროვინციას განაგებდა პრო-კონსული, ანუ იგივე გენერალ-გუბერნატორი, რომ-ლის ხელქვეით იყო ადგილობრივი ჯარი, აღმინი-სტრაცია და სასამართლო. პროვინციას პროკონსუ-ლი განაგებდა თავისი ნებისა დასურვილისამებრ.


*) იხ. „ცისკარი №1 1 და 2.

მისი უმთავრესი საზრუნავი ის იყო, რომ როგორ-მე ჯიბეები ზორბათ დაეტენა, და ამისათვის ხალხს ავიწროებდა და ტყავს აძრობდა. თუ სადმე ხალხი აჯანყდებოდა, პროკონსული იმის ქონებასა და სახლკარს ცეცხლს განაივებებდა და „დამნაშავეებს“ შეუბრალეblათ ხოცავდა. იმ პროვინციებში, საცა რამდენიმე სხვადასხვა ერი ცხოვრობდა, პროკონსულები ყველას ფტქენიდან და ამავე დროს შეერთებული და მწყობრი აჯანყების თავიდან ასაცდენათ მეზობელ ერებს ერთმანეთს გადაკიდებდნ ხოლმე პროვოკაციის საშვალებით. ერთი სიტყვით რომის ბიუროკრატია რუსეთის ბიუროკრატის მასწავლებელი იყო. „პოგრომებიც“ კი რომის ბიუროკრატამ შემოიღო თავდაპირველათ. პროკონსულის თანამდებობა რომში ცნობილი იყო, როგორც ზორბათ სათლელი ადგილი. როდესაც რომში რომელიმე ბიუროკრატის გაკოტრდებოდა, ან დავალიანდებოდა ისე, რომ საძრობა აღარა ქონდა, როგორც ბადეში გახვეულ თევზს, სენატი მაშინვე გაგზავნიდა მას რომელიმე პროვინციაში პროკონსულათ და ამგვარ შემთხვევაში ხალხი ამბობდა: აბა, ახლა კი დაისვამს ღარსო! მართლაც ოთხი-ხუთი წლის შემდეგ გაკოტრებული ბიუროკრატის პროვინციიდან ისევ რომში ბრუნდებოდა, ვალებს ისტუმრებდა და ოქროთი გატენილი ტომარებიც რჩებოდა თავისი თავგანწირული სამსახურისათვის სამშობლოს საკეთილდღეოთ! რომის სენატს სტოლიბინის სამინისტროსავით ლიბერალური კანონები ქონდა: ყოველ მოქალაქეს უფლება ქონდა სენატში პროკონსულზე საჩივარი შეეტანა, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ სენატის ბიუროკრატები თავის ამხანაგს ყოველთვის ამართლებდნ! ნათქვამია: ძალლი ძაღლის ტყავს არ დახვესო. ამგვარი წესწყობილების წყალობით ბიუროკრატების ხელში თავი მოიყარა აუარებელმა მამულებმა, რომლებსაც ისინი ურიცხვი მონების შემწყობით უფლიდნ. თვითვეულ ბიუროკრატს, ანუ წარჩინებულს, როგორც რომში ეძახდნ, ხშირათა ყავდა ათი, ოცი, ოც და ათი ათასი და მეტი მონა. მონებს ისინი ძონძებში ინახავდნ; ძონძებსაც რომ დიდხანს გაეძლო, ტიტვლებს ამუშავებდნ თვრამეტსა და ოც საათსაც დღე და ღამეში. საქმელს დღეში ერთხელ აქმევდნ და ისიც იმდენს, რომ შიმშილით არ დახოცილიყვენ. ერთი სიტყვით ბიუროკრატები ყოველ ღონეს ხმარობდნ, რომ მონებზე ცოტა ხარჯი წასვლოდათ და მოგება კი ბევრი დარჩენოდათ. სოფლის ხალხი უმიწოთა და უღლუკმაპუროთ იყო დარჩენილი და ამიტომ ქალაქებს აწყდებოდა; ზოგი სამუშაოს კიდებდა. ხელს, ზოგი

ხელობას იწყებდა, სხვები კი ამრავლებდნ ზოგანო პროლეტარიატის ანუ ხულიგანების რიცხვს. ამგვარი ხულიგანებით გატენილი იყო განსაკუთრებით დედაქალაქი რომი. ბიუროკრატის თვითმპყრობელობას შეებძოლენ მოქალაქენი და დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ მათ გამოვლიჯეს ბიუროკრატისაგან ერთ წოდებული ტრიბუნა. ტრიბუნა იყო ხალხის წარმომადგენელთა დაწესებულება, რომელსაც უფლება ქონდა თავისი კანონები შეემუშავებია და სენატის დადგენილება გაეუქმებია ხოლმე. ტრიბუნას ბიუროკრატამ ყველა მჭრელი კბილები დააძრო და აი რანაირათ: კანონით არჩევნების უფლება ქონდა ყველა არა მონას—თავისუფალ მოქალაქეს და ზოგანო პროლეტარიატი თავისუფალ მოქალაქეთ ითვლებოდა. მისი წევრები ითვლებოდნ „ქეშმარიტ რომაელებათ და უდრიდნ დღევანდელ „ქეშმარიტ რუსებს“. ეს ქეშმარიტი რომაელები მეტათ მრავალ რიცხოვანი იყვენ და ხშირათ არჩევნებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ამათა ქონდათ. ბიუროკრატამ მოისყიდა ესენი, უმასპინძლდებოდა მათ, საქმელს ურიგებდა, წარმოდგენებსა და გასართობებს უმართავდა უსასყიდლოთ, ამიტომ ისინი დიდი მადლიერი იყვენ ბიუროკრატის და ისე ერთგულათ ემსახურებოდნ მას, როგორც ხულიგანები რუსეთის ბიუროკრატისა; არჩევნების დროს იქით მიდიოდნ, საითაც ბიუროკრატის აგენტები მიუთითებდნ, და იმასა სწყვეტდნ, რასაც ბიუროკრატია უბძანებდა. მშვიერი, წამხდარი, გარყენილი ხალხი, ურიცხვი მონები, რომლებიც ძაღლის ბედს შენატროდნ და უზომოთ მდიდარი ბიუროკრატია—აი რას წარმოადგენდა რომის იმპერია.


ხშირათ რამდენიმე დღის სავალს გაივლიდა მგზავრი და ერთ სოფელს ვერ შეხვდებოდა: მთელი ამოდენა ადგილები შეადგენდნ ერთი კაცის საკუთრებას, რომელზედაც მონები მუშაობდნ.

თუკი მონების რიცხვი ასე დიდი იყო, რატომ არ აჯანყდნო, იტყვის მკითხველი. რაც მონებმა ბატონებთან ბრძოლაში სისხლი დაღვარეს, რომ არ დამშრალიყო, ახლა დიდ ზღვათ აღგებოდა და დღევანდელი ბატონების გასართობათ და საკუთარ ხომალდებზე სასეიროთ საუცხოვო იქნებოდა! როგორ არ აჯანყდნ,—ბევრჯერ აჯანყდნ, მაგრამ ყოველთვის წააგეს. წაგების ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ჯარის უმთავრეს ნაწილს შეადგენდა შეუგნებელი ხალხი და ზოგანო პროლეტარიატი, რომელიც ბიუროკრატის ნასუფრალითა რჩებოდა და ამიტომ მონების მხარეზე არ გადადიოდა; მეორე და უმთავრესი მიზეზი იმაში იყო, რომ მონები სხვადასხვა ეროვნებას ეკუთვნოდნ,



სხვადასხვა ქვეყნიდან იყვენ გაყიდული, ამიტომ მათ შორის ერთობის შექმნა, მტკიცე კავშირის დამყარება და მათი ერთსულ და ერთხორც რაზმათ გადაქცევა ყოვლათ შეუძლებელი იყო. მე არ გამოვუდგები აქ მონების ურცხვ აჯანყებათა აწერას, მით უმეტეს, რომ მკითხველს, უეჭველია, წაკითხული ექნება მონების გამოჩენილი სარდლის—სპარტაკის ისტორია. მდგომარეობა დღითი დღე აუტანელი ხდებოდა, რომი იღუპებოდა და არსად ჩანდა ისეთი ძალა, რასაც შეძლებოდა ბიუროკრატის თვითნებობის ალაგმვა და სენატის გაუქმება, ან დამორჩილება. საზოგადოებაში უკმაყოფილება გაისმოდა და თვითონ ბიუროკრატის საუკეთესო წევრები ხედავდნენ, რომ ან რომის იმპერია დაიღუპებოდა უსათუოთ, ან ამგვარ დესპოტიურ წყობილებას ბოლო უნდა მოღებოდა. ორმა ძმამ—გრაჯებმა—ბიუროკრატის წევრებმა, გადასწყვიტეს ღარიბი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება და ბიუროკრატის თვითნებობის მოსპობა. სანამ ბიუროკრატია იმდენათ გაძლიერდებოდა და გამდიდრდებოდა, რომში იყო სახელმწიფო მიწები, რომლებიც მცირე იჯარით ეძლეოდა ღარიბ მცხოვრებლებს. ამდროს გლეხები ყველგან რიგიანათ ცხოვრობდნენ და ზოგან კი სოფლები საუცხოვო სურათს წარმოადგენდნენ. ბიუროკრატია თანდათან მოექცა ცხოვრების სათავეში, მთელი უფლებები ხელში ჩაიგდო და მაშინ მადა ვაეზარდა: რადგანაც კანონი და სამართალი იმის ხელში იყო, ამიტომ ნელნელა მიუმატა სახელმწიფო მიწების იჯარას და ისე შეავიწროვა სოფლის მცხოვრებლები, რომ ბევრი იძულებული გახდა, მიწაზე ხელი აეღო, სოფლისათვის თავი დაენებებია და როგორმე სხვა საშუალებით ერთხინა ოჯახი და თავი. როდესაც მონა საშინლათ გაიფადა და ბაზარზე ის კიტრის ფასათ გახდა, მაშინ ბიუროკრატებმა იფიქრეს: მოდი მონები ვიყიდოთ, სახელმწიფო მიწები მთლათ ჩვენ ჩავიგდოთ ხელში და მონებს ვამუშავებოთ. ფიქრი და საქმე ერთი იყო; ბიუროკრატებმა სახელმწიფო მიწები გამოგლიჯა გლეხებს ხელიდან და თვითონ დაისაკუთრა. სოფლები ოხრათ დარჩა, დაცალიერდა და გავერანდა. მაშინ უფროსმა ძმამ ტიბერიოს გრაჯებმა მოინდომა სახელმწიფო მიწების გამოგლეჯა ბიუროკრატის ხელიდან და უმიწაწყლო ხალხისათვის გადაცემა. ძველათ რომში არსებობდა ეგრეთ წოდებული ლიკინიუსის კანონი, რომლის ძალითაც არავის არ შეეძლო აეღო სახელმწიფო მიწა იჯარით 500 დეს. მეტი. ეს კანონი ბიუროკრატებმა წყალს გაატანა, როცა ყველა სახელმწიფო მიწებს მარტო თვითონ დაეპატრონა. ტიბერი-

ოს გრაჯებმა დაიწყო ხალხში აგიტაცია. ის ამოიჩინეს ტრიბუნაში და მაშინ მან მოითხოვა დარღვეული და გაუქმებული კანონის აღდგენა. რადგანაც მთელი სახელმწიფო მიწები ამ დროს ბიუროკრატის ხელში იყო, ამ დავიწყებული კანონის ძალით უმეტესი ნაწილი ამ მიწებისა ბიუროკრატისა უნდა ჩამორთმეოდა და გადაცემოდა გლეხებს სასარგებლოთ. ტიბერიოს გრაჯის მიზანი იყო ულუკმაპუროთ დარჩენილ ხალხის უზრუნველყოფა და გავრანებული სოფლების ხელახლა გაშენება და აყვავება. ბიუროკრატების სენატმა მოისყიდა ტრიბუნის წევრები და ტიბერიოს გრაჯის წინადადება არ გავიდა. მაშინ ხალხმა დაითხოვა ბიუროკრატების მომხრე ტრიბუნა და გრაჯის ჩაგონებით ახალი ტრიბუნის არჩევამდე მოითხოვა კომისია გრაჯის წინადადების დასაკანონებლათ და გასახორციელებლათ. მეორე არჩევნების დროს სენატმა მიმართა ათასგვარ ხრიკებს, დაპირებას და მოსყიდვას, მაგრამ ხალხი მიხვდა, ვინ იყო მისი მტერი და ვინ მოყვარე, და სენატი დარწმუნდა, რომ ხალხი არა თუ მარტო გრაჯს, ყველა იმის თანამოაზრეებს აირჩევდა ტრიბუნაში წარმომადგენლებათ; მაშინ გრაჯი გაიყვანდა თავის წინადადებას, ბიუროკრატებს საზოგადო მიწები ჩამოერთმეოდა და შემოსავალი შეუმცირდებოდა. ბიუროკრატებმა დაფაცურდნენ და მიმართეს „პოგრომს“: შეაიარაღეს „ქეში-მარტი რომაელები“ სენატის ფარული მფარველობით, არჩევნების დროს თავს დაესხნენ ტიბერიოს გრაჯის პარტიას და სამასი კაცი დახოცეს. მათ შორის მოკლეს ტიბერიოს გრაჯიც და მისი გვამი აზვირთებულ მდინარეს გაატანეს ზღვაში, რომ მისი საფლავიც კი არა ქონოდა ხალხს თვალწინ. ძმის საქმე განაგრძო კაიოს გრაჯებმა. ცეცხლიაო, ადამიანზე რომ იტყვიან, სწორეთ ასეთი იყო კაიოსი. ძმის სიკვდილმა ის არა თუ არ დააფრთხო, პირიქით უფრო გაამეხა და აანთო საბრძოლველათ. თუ უფროს ძმას უნდოდა წარჩინებული წოდების მადის ალაგმვა, უმცროსი ძმა დარწმუნდა, რომ ბიუროკრატების მადის შეზღუდვა მხოლოთ მაშინ შეიძლებოდა, როდესაც ისინი პოლიტიკურ უფლებებს დაკარგავდნენ. ამიტომ კაიოსმა გადაწყვიტა ძმის ანდერძის გახორციელების გარდა არსებული ბიუროკრატული წყობილება დაემხო და მის ნაცვლათ დემოკრატიული წყობილება დაემყარებია. თავისი თავი და დიდი სიმდიდრე მან გადასდო ამ მიზნისათვის და გამართა ფართო აგიტაცია. მალე ის აირჩიეს ტრიბუნაში, საცა მან გაიყვანა კანონათ თავისი ძმის წინადადება და ამით გალატაკებულ ხალხს მიწა მოუპოვა. გამარჯვებულმა და მადლი-



ერმა ხალხმა შეიყვარა კაიოს გრაქი, შემოკრბა თავისი ბელადის გარშემო და საბრძოლველათ დაეშადა სრული დემოკრატიული წყობილების მოსაპოვებლათ. ექვს გარეშეა, გრაქი დაამარცხებდა სენატს ხალხის დახმარებით და ბიუროკრატის უფლებებს გამოგლეჯდა ხელიდან, მარა თავის გადასარჩენათ ბიუროკრატამ ხელახლა „პოგრომს“ მიმართა: შეაიარაღა ხულიგანები და იმდროს დაეცა თავს გრაქის პარტიას, როცა ის არაფერს არ მოელოდა. ასტყდა საშინელი სისხლის ღვრა. როდესაც გრაქმა შეატყო, რომ მარცხდებოდა, ბიუროკრატების ხელით სიკვდილი არ ისურვა და თავის მონას უბძანა: მომკალიო. მონამ მოკლა ბატონი და იმის შემდეგ თვითონაც აღარ ისურვა სიცოცხლე,—თვითონაც იმის გვერდით მოიკლა თავი. სენატმა გრაქების კანონი მაშინვე გააუქმა და მთელი სახელმწიფო მიწები ბიუროკრატამ სამუდამოთ დაუმტკიცა თავის საკუთარ თავს, რომ მეორეთ აღარავის აღეძრა ისეთი მამულის დამღუპველი წინადადება, როგორიც გრაქებმა წამოაყენეს.

ივ. ზამართელი.



პატარა ფელეტონი.

მოღვაწეთა მოღვაწეობა.

დავითი, როგორც აწ განსვენებული ერთი გზეთის მეფელეტონემ იოხუნჯა, „დავითების პარტიის“, რომელნიც თავის თავს კადეტებს უწოდებენ, ერთი დამაარსებელთაგანია. თუმცა მას დიპლომი არა აქვს, მარა თავისი ენერგიით, ნიჭით და გამჭრიახობით ბევრ დიპლომიანებს გადაახტება. უნდა ნახოთ თქვენ ის კრებებზე თავმჯდომარეთ, განსაკუთრებით კი ბანკის რწმუნებულთა კრებაზე. მთელი კრება ისე უჭირავს ხელში და ისე ათამაშებს, როგორც კარგი მხედარი თავის ტაიქს. საითაც გასწევს სადავეს, კრებაც იქით მიყავს. ის დიდი ხანი არაა, რაც ჩვენს სამოღვაწეო ასპარეზზე იღვწის, მარა ამ მოკლე ხანშიაც დიდი ნდობა და პატივი დაიმსახურა. შარშანდელ კრებაზე ბანკის ერთმა რწმუნებულმა, ვაჭარმა ქეიშვილმა, რომელსაც საქველმოქმედო საქმისთვის საკუთარი ჯიბიდან ორ შაურსაც ვერ ამოაღებებ, წინადადება შეიტანა: „რადგანაც ამ ხანათ ბანკი ვერაა ჩინებულ მდგომარეობაში და ბევრის გაღება არ შეგვიძლია, ათი ათასი მანეთი მაინც მივცეთ ჯილდოთ დავითს მის უებრო მოღვაწეობისათვისო“. მის შემდეგ წა-

მოდვა ვილაც გოგოლაშვილი და მშრომელი ხალხის პირით დიდი რეჩი წარმოასტქვა. თავის რეჩით ბ. გოგოლაშვილი ამტკიცებდა, რომ დავითი მშრომელი ხალხის ქომაგი და ჭირისუფალიაო.

დავითი და მშრომელი ხალხის ქომაგი!!

დავითი და მშრომელი ხალხის ჭირისუფალი!!! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! გაიცინეთ და ილაღეთ ტარტაროზნო!..

რომელი მშრომელი ხალხის პირით რეჩობდა, თუ ლენჩობდა ბ. გოგოლაშვილი ეს ჩემთვის დღესაც გამოცანაა, მარა ის კი ცხადია, რომ მისმა რეჩმა გასტრა, და „მივცეთ, მივცეთო!“ აქეთ-იქიდან მოისმა დავითის მომხრეების ხმა.

— ასეთი საკითხის უკენქოთ გადაწყვეტა არ შეიძლება! — მოისმის ზოგიერთის ხმა.

— არა, არა! უკენქოთ! უკენქოთ!

დარბაზში საშინელი აურზაურია. დავითი, რაც ძალი და ღონე აქვს ზარს აწკარუნებს და აბობოქრებულ ხალხს ამშვიდებს.

— ბატონებო, თუმცა მე ერთი ღარიბი კაცი ვარ და ათი ათასი მანეთი ჩემთვის მეტი არ იქნება, მარა ამ ჯილდოს აღება მე არ შემიძლია. მე ბედნიერათ ვრაცხ ჩემს თავს, რომ ჩემი ღვაწლი დაფასეთ და ჩემთვის ეს საუკეთესო ჯილდოა. გმადლობთ, დიდათ გმადლობთ ყურადღებისათვის, ბატონებო!

—ა! ნუ გვიხამ ამას! უნდა მიიღო! არ შეიძლება არ მიიღო!

დავითი ხელებს ასავსავებს

— თუ შეიძლებოდეს, გაბძანდით, დავით, დარბაზიდან! ამაზე ჩვენ მოვილაპარაკებთ.

დავითი დარბაზიდან გავიდა და ისევ ჩოჩქოლი ასტყდა. ზოგი უკენქოთ მოითხოვდა ფულის მიცემას, ზოგი კი კენქით, კენქითო, გაიძახოდა.

მე ამ სცენას ღიმილით ვუცქეროდი. მეგონა, რომ ეს უბრალო იმერული თავაზიანობა იყო და თუ საქმე კენქამდის მივიდოდა, დარწმუნებული ვიყავ, კრება მეტ გონიერებას გამოიჩენდა და დავითს ფულის მიცემაზე უარს ეტყოდა, მარა მოეტყუედი. საშინლათ მოეტყუედი! ხმის დიდი უმრავლესობით გადაუწყვიტეს დავითს ათი ათასი მანეთის მიცემა.

დავითი დარბაზში შემობრუნდა და საზოგადოებას მადლობა გადაუხადა. მართალია, ამ ფულის მიღება არ უნდოდა, მარა იმდენი პატივცემული პირის ვაწბილებაც ძნელი იყო და მიიღო დავითმა ათი ათასი მანეთი ჯილდო.

გასულ წელსვე როგორც ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეს, მას მიანდევს თფილისის მა-

მუღების რევიზია. დავითი თფილისს გამგზავრა, თან გაიყოლა მარჯვენე თვისი სეხნო და ერთი კიდევ ზედამხედველ კომიტეტის წევრთაგანი. უნდა მოგახსენოთ, რომ დავითი რასაც ხელს მოკიდებს, ახირებულათ არ მოკიდებს. ამ ახალ მონდობილებასაც ის თავისი ძლიერების შესაფერი ენერგიით მოეკიდა. ისეთი სასტიკი რევიზია მოახდინა, ისეთი, რომ გამგეობას და დამფასებელ კომისიას, ვგონებ, დღესაც არ გავლიათ მუხლებსი კანკალი, მისმა სეხნომაც რევიზიის საკადრისი დოკლადი შეთხზა. ეს უპრალო კანცელიარული დოკლადი არ გვეგონოსთ. ეს განხორციელებული პოეზიაა. ფას მასთან სიმონ ქვარიანის პოეზია! მე რომ ეს დოკლადი პირველათ ბანკის რწმუნებულთა კრებაზე მოვისმინე, მეგონა, სალიტერატურო დილაზე ვიყავ და ისეთ აღტაცებაში მოველ, რომ ტაში შემოვკარ და ვაშა! ვაშაო! მინდოდა დამეძახა, მარა უტებ მეზობელმა შემაჩერა და შერცხვენისაგან დამიფარა. სიამოვნებით ვაგვიხარებდით პოეზიის ამ შედეგს, მარა ისეთი ძუნწი რედაქტორი გვყავს, რომ ყოველ ზედმეტ სტრიქონზე კანკალებს. დოკლადის ავტორი ამტკიცებდა თფილისის განყოფილების მართველის სრულ უმოქმედობას და უვარგისობას. ჩამობრუნდა თუ არა თფილისიდან, დავითმა ისეთ დროს მოიწვია ზედამხედველ კომიტეტის წევრნი სათათბიროთ, როცა ორი მათგანი, რომელნიც ხანდახან ყოველ კითხვის გადაჭრაში მას არ ეთანხმებოდენ, ქუთაისში არ იმყოფებოდა. მოიწვია აგრეთვე თვისი მონა მორჩილი გამგეობის წევრნიც... (რომ ეს უკანასკნელნი მისი ყურმოჭრილი მონებია, ამას ქვემოთ დაიხანახავთ.) დავითმა კარგათ იცოდა, რომ გამგეობის წევრნი მის წინააღმდეგ სულსაც ვერ დაბერავდენ, კომიტეტის ერთი წევრი, მარჯვენე თვისი სეხნოც, მასწარ უღალატებდა, ხოლო მესამე წევრი კი ძალიან წინააღმდეგიც რომ ყოფილიყო, მხოლოობით რიცხვში დარჩებოდა და საქმე მისდა სასურველათ გადაწყდებოდა. მან მართლაც დაარწმუნა კომიტეტისა და გამგეობის შეერთებული კრება, რომ თფილისის მამულების მოსავლელათ საქიროა ახალი მოურავის დანიშვნა. მოურავი უნდა იყოს კაცი ფრიად ენერგიანი და მართვა-გამგეობაში დახელოვნებული; ასეთი კაცი კიდევცა მყავს სახეშიო, — ბძანა დავითმა, — საშას თქვენც ყველანი კარგათ იცნობთ. კაცი მღვევივით ვაჟკაცია. ვერც თვალათ და ვერც ტანათ წუნს ვერ დასდებთ. მე იმას კარგათ ვიცნობ და გირჩევთ ის დავნიშნოთო.

ღილაც რომ იცნობდა. თავის სიძეს აბა როგორ ვერ იცნობდა?! რა თქმა უნდა, გამგეობი

სა და კომიტეტის წევრებიც კარგათ იცნობდენ საშას, მარა წინადადება ისეთი „გნუშენიით“ იყო მოცემული, რომ უარი ვეღარ უთხრეს და საშა თფილისის მამულების მართველათ დანიშნეს.

მე მართალი მოგახსენოთ საშაზე კარგი არაფერი გამიგონია. გამიგონია მხოლოთ, ბაქარას კარგათ თამაშობსო და ამის გამო მის შესახებ ვერც კის ვიტყვი, ვერც ცუდს. მარა არ შემიძლია, გვერდი ავუარო წრევანდელ რწმუნებულთა კრებას, რომელზედაც ბევრი საკულისხმიერო კითხვა აღიძრა, სხვათა შორის საშაზედაც...

წელკავი.



ჩვენი ქალაქის თვითმართველობა *).

წყლის-საყვანის მოწყობაზე ნაკლებ საქირო არაა უსუფთაობის სადენი მიღების მოწყობა. (კანალიზაცია). მაგრამ თუ წყლის - საყვანი არ იქნა, უსუფთაობის სადენი მიღების მოქმედება შეუძლებელია. ამისთვის პირველათ უნდა წყლის-საყვანი მოეწყოს და შემდეგ კი კანალიზაცია. მას შემდეგ, რაც ქალაქები გაჩნდა, კაცობრიობის ერთ უმთავრეს საზრუნველ საგანს შეადგენდა და ახლაც შეადგენს იმ უსუფთაობის მოშორება, რომელიც ასეთი შეჯგუფული ცხოვრების შედეგია. ის საშვალეებში, რომელთაც კაცობრიობა ხმარობდა ამ უსუფთაობის თავიდან მოსაშორებლათ, პირდაპირ მოწმობენ მის უკულტურო ზდას. ვანვითარების დაბალ საფეხურზე ის უფრო უბრალო ზომებს იღებდა, ვიდრე უმაღლეს კულტურულ საფეხურზე. ჩვენს დროში, როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთში, სხვადასხვა ქალაქებში სხვადასხვა სისტემაა გამეფებული უსუფთაობის თავიდან მოსაშორებლათ. რასაკვირველია, ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს ფეხის-ადგილებიდან შეგროვილ უსუფთაობის თავიდან მოშორება. იმისდა მიხედვით თუ რა სისტემაა ამისთვის შემოღებული, ფეხის-ადგილების მოწყობილებაც სხვადასხვანაირია. პირველია უფრო პრიმიტიული სისტემაა უსუფთაობის ქალაქ გარეთ გაზიდვა. ყოველ-გვარი უსუფთაობა, მაგარი სხეულია ის თუ სითხე, ქალაქ გარეთ გააქვთ და იქ ან მდინარეში უშვებენ და ან, თუ მდინარის ნაპირებს ახლო ხალხი სცხოვრობს და ამ მდინარის წყლით სარგებლობს, მაშინ მდინარის გაბინძურება არ შეიძლება და უსუფთაობას ქალაქის გარშემო ცარიელ ადგილებზე ყრიან. სადაც გაზიდვის სისტემა ხმარებაში,

*) იხ „ცისკარი №1 № 1 და 2.

იქ ფეხის-ადგილების უსუფთაობას ბოქცებში აგრო-
ვებენ; როცა ერთი ბოქცა აივსება, მის მაგივრათ
მეორე ცარიელს სდგამენ და სავსე ბოქცა კი ქა-
ლაქს გარეთ გააქვთ დასაცლელად. უსუფთაობის
მოშორების მეორე სისტემა იმაში მდგომარეობს,
რომ უსუფთაობის შემადგენელ მაგარ ნაწილებს:
მაგალითათ, ნაგავს, ნეხვს, ნავალს, ძვლებს და
ამისთანობას ქალაქ გარეთ ეზიდებიან და თხელ
შემადგენელ ნაწილებს კი, მაგალითათ, ნარეცხს,
შარდს, ნაწვიმარ წყალს და მასში არეულ და გა-
ლესილ ნივთიერებებს მიღებით ქალაქს გარეთ
უშვებენ. მესამე თანამედროვე და საუკეთესო მო-
ნისტურ სისტემას წარმოადგენს მარტო სადენი მი-
ლებით ყველა უსუფთაობის თავიდან მოშორება
(კანალიზაცია). ამ სისტემით უსუფთაობა, როგორც
თხელი ისე მაგარი, მიღების ქსელით ქალაქს გა-
რეთ გააქვთ. ეს მილები რომ სადმე რამე მაგარი
ნივთიერებით არ გამოივსოს და მათში უსუფთაო-
ბის მდინარება არ შეფერხდეს, ამისთვის ისინი დრო-
გამოშვებით უნდა ირეცხებოდეს. ამ მიზნით გამო-
გონებულია ავტომატიური მოწყობილობა, რომე-
ლიც ყოველ განსაზღვრულ დროს განმავლობაში
წყლის-საყვანიდან ამ მილების ქსელში წყალს უშვებს.
აი ამიტომ კანალიზაცია უწყლის-საყვანით არ მო-
ხერხდება. მართალია, კანალიზაციით ქუჩების ნა-
გავის თავიდან მოშორება არ შეიძლება, ის ან
უნდა დაწვას, როგორც ეს შემოღებულია ზოგ
ინგლისის ქალაქებში, ან უნდა ურმებით ქალაქს
გარედ იქნას გაზიდული. სადაც კანალიზაციაა, იქ
ფეხის-ადგილების უსუფთაობა ერთიანათ მილებში
ჩადის. ასე რომ კანალიზაცია წარმოადგენს მიწაში
გაყვანილ მილების ქსელს. ამასთან მილები თავის
დიამეტრით რაც უფრო ქალაქის შუა-გულიდან
ქალაქს გარეთ იწვევს, მით უფრო განიერია, მეტი
ზომისაა. ეს მილების ქსელი ჩვენ თამამათ შეგვიძ-
ლია შევადაროთ ხეს. ამ ხის წვრილი ტოტების
ბოლოს შეადგენენ ფეხის-ადგილების, აბანოების
და სარეცხავების უსუფთაობის ჩასაშვები მილები.
მომსხო ტოტებს, რომლებსაც ეს წვრილი ტოტები
ასხია, წარმოადგენენ ქუჩების ქვეშ გაყვანილი მი-
ლები. ხის ტანს კი უდრის ის უმთავრესი მილი ანუ
კოლექტორი, რომელსაც ყველა ეს ქუჩის ქვეითი
მილები შეერთვიან და რომელიც ქალაქ გარეთ
გაის. წინათ ქუჩის მილებს პირდაპირ მდინარეში
უყოფდნ თავს, მაგრამ რადგანაც ამით მცხოვრებ-
ლების სახმარი მდინარის წყალი ბინძურდებოდა,
ახლა ქუჩების მილებს უერთებენ ერთ უმთავრეს
მილს ანუ კოლექტორს, რომელიც მდინარის გას-
წვრივ ნაპირს მიყვება და ქალაქის გარეთ მდინა-

რეს ერთვის, რასაკვირველია, თუ მდინარე-მდინარე
მცხოვრებლებს არ უხდებათ ამ მდინარის წყლით
სარგებლობა. უკანასკნელ შემთხვევაში კი ან დაწ-
მენდის შემდეგ უშვებენ მდინარეში, ან ამ უსუფ-
თაობაში მიწის არევით „პუდრეტს“ ამზადებენ და
მიწის გასაპოხიერებლათ მეურნეებს მიყიდებენ, ან პირ-
დაპირ ქალაქის გარშემო ადგილებში უშვებენ და
ნიადაგს აპოხიერებენ. კანალიზაციის მოწყობა უფ-
რო საძნელოა იმ ქალაქებში, რომლებიც ვაკეზე
არაიან გაშენებული, რადგანაც უსუფთაობის სადენ-
ნათ საქირთა, რომ მათი სადენი მილები დაქანე-
ბული იყოს; ხელოვნურათ კი მილების დაქანება-
თუ ბუნება ამას ხელს არ უწყობს, ან საქაჩავი მან-
ქანების დახმარება, მეტ ხარჯს იწვევს და ძნელიცაა.

ქუთაისი ბუნებით მთის კალთებზეა გადაშლი-
ლი, უსუფთაობის სადენი მილები ძალაუფლებურათ
დაქანებული უნდა იყოს მდინარისაკენ. ეს იდეა-
ლია კანალიზაციისთვის; რაც მეტი დაქანებული
იქნება მილები, მით უკეთესია. ახლა უსუფთაობის
გაზიდვის სისტემა ქუთაისში გამეფებული. კიდევ
კარგი, რომ ეს გაზიდვა წესიერათ სწარმოებდეს
უსუფთაობით ჩვენი ქუთაისი, მგონი, ყველა ქალა-
ქებს სჭარბობს. მკვდარი ძაღლი, კატა, ან ფრინვე-
ლი ისე გაიხრწნება ზოგიერთ ქუჩაზე, რომ კაცი
არ მიხედავს. ხანდახან მთელი კვირაობით და თვეო-
ბით ერიდები იმ ქუჩაზე გავლას; სადაც ამისთანა
სიბინძურის სუნია ამდგარი. ფეხის-ადგილები ბაზ-
რის ადგილებში ისე უსუფთაოთაა, რომ შიგ ვერას
გზით ვერ შეგედავ; ამიტომაც ფეხის-ადგილების
მაგიერობას მათი გარშემო ადგილები ეწვევიან. ბუნე-
ბით ტურფა ქალაქის განაპირა უბნები, სადაც
თითქმის ყველა ეზო ბალითაა შემკული, თვალს
მოგტაცებთ, მაგრამ თუ ცოტა ხანს მაინც მოგიხდა
ჯდომა რომელიმე ეზოში და თან სიომაც დაბერა,
მთელი პოეზიის ილიუზია თვალის დახამხამებაზე
ქრება, რადგანაც პრიმიტიულათ მოწყობილ ფეხის-ად-
გილებიდან იმისთანა სუნი მოდის, რომ მეორეთ აღარ
მოისურვებ ამ ედემის ნახვას. წყლის-საყვანი და კანა-
ლიზაცია რომ გვექონდეს, მაშინ სისუფთავეც მეტი
მოსახერხებელი იქნება, ჰაერიც უკეთესი გვექნება
და ქუთაისის ბუნებაც ერთი ათათ უფრო დამა-
ტყვევებელი იქნება. ველირებით კი ქუთაისში წყლის-
საყვანს, ან კანალიზაციას? წყლის-საყვანზე ოცნე-
ბობენ მაინც ჩვენი ქალაქის გამგეობის წევრები
და ხმონები, მაგრამ კანალიზაციაზე კი ჯერ ოც-
ნებობაც მეტათ მიაჩნიათ. არასოდეს არ დამავიწყ-
დება ის მომენტი, როცა ქალაქის გამგეობის ერთი
წევრი თავის პროექტში საღორიის ადგილების გა-
ყიდვით ქალაქის კასის გამდიდრების შესახებ ამ-



ბობდა: როცა ფული თავზე საყრელათ გვექნება, მაშინ შეგვიძლია, სხვათაშორის, ერთი ან ორი დიდი არხი გავსჭრათ და ქალაქ გარეთ მდინარეში ვუკრათ თავიო; ეს არხები სავსებით დაიხსნის ქალაქს უსუფთაობისაგანო. როცა მე პროექტის ავტორს შევნიშნე, რომ ის ძლიერ სადათ უყურებდა კანალიზაციის საკითხს, რადგანაც ქალაქ მოსკოვს, რომელმაც ბერლინის უნივერსიტეტის ჰიგიენის პროფესორი მოიწოდა კანალიზაციის გეგმის შესადგენათ, მარტო ეს გეგმა დაუჯდა ერთ მილიონ მანეთათ მეთქი, ის გაცვიფრდა და დაუჯერებელ ამბათ მიიღო. მართალია, მოსკოვის მდებარეობა ვაკე ადგილზე და მისი სადიდე მეტ ხარჯს გამოიწვევდა, ვიდრე ქუთაისს დასჭირდება კანალიზაციისთვის, მაგრამ თუ ქალაქის მმართველს ამისთანა წარმოდგენა აქვს კანალიზაციაზე, მაშინ უბრალო მცხოვრებს რა უნდა მოეთხოვოთ?

(შემდეგი იქნება)

გრ. ნასარძე.




ღვთის-მოსავი ეპისკოპოსი

მკითხველი აქა-იქ ამოიკითხავს ჟურნალ-ვაზეთებიდან, რუსეთის მართლ-მადიდებელი ეკლესიის იერარქები ამდენ და ამდენ ათი ათას მანეთს ლებულობენ წელიწადში ჯამაგირათ, გარდა კერძო შემოსავლისაო. როდესაც ასეთ ცნობებს გებულობ, თავის თავათ გებადება კითხვა: რა ზნეობის, რა პრინციპების პატრონი არიან ეს ვაებატონები, და რაში ხარჯვენ ამდენ ფულს?

ჟურნალ „Былое“-ს 1907 წლის №-ში დაბეჭდილია საინტერესო წერილი ე. ლაზარევისა, რომელიც შევნიერათ ახასიათებს ზოგიერთ იერარქების ზნეობრივ ფიზიონომიას და პასუხს იძლევა დაყენებულ კითხვაზე. ლაზარევი მოგვითხრობს, რაც მას თავის თვალთ უნახავს, თავის ყურით გაუგონია, რის მოწმე თვითონ ყოფილა.

მეოთხმოცე წლებში აქიმი სუდზილოვსკი, ანუ რუსელი, დენილი რუსეთის მთავრობისაგან როგორც პოლიტიკური დანაშავე, გადაიხვეწა ამერიკაში და იქ, ქ. სან-ფრანცისკოში, სლავიანთა კოლონიაში დაბინავდა და აქიმობით თავს ირჩენდა. მალე თანამემამულეების სიყვარული და ნდობა დაიმსახურა და ეგრეთ წოდებულ „ბერძენ-სლოვნიანების საქველმოქმედო საზოგადოების“ პრეზიდენტათ აირჩიეს. სლოვნიანებს დიდი ნდობა და სიყვარული ქონდათ რუსელის და თავის ჭირ-ვარამს არ უმაღავენდენ. ამ დროს სან-ფრანცისკოში მართლ-მადიდებელ

ეკლესიის უფროსათ იყო ალექსის ეპისკოპოსი ვლადიმერი, რომელიც ამ შორეულ ქვეყანაში უწმიდესმა სინოდმა გაგზავნა მართლ-მადიდებლობის გასამტკიცებლათ და გასავრცელებლათ. ხშირათ მართლმადიდებლები, რომლებთანაც ქონდა საქმე რუსელს, როგორც აქიმს, გულახდილათ შესწოდენ მას, რომ მათი ეპისკოპოსი რიგიანათ ვერ იქცეოდა: მღვდლებს ნახევარ ჯამაგირს აძლევდა, ტაძარი განგებ დაწვა, უწმ. სინოდისაგან ასაშენებელი და მოსაწყობი ფული მიიღო, მაგრამ იკონოსტანის მაგივრათ უფარგისი და იაფ-ფასიანი სურათები გააკრა ეკლესიაში და, რაც უსაშინელესია, რუსეთიდან ჩამოიყვანა ყრმები ვითომდა განათლების მისაცემათ და ნამდვილათ კი სოდომის ბოროტებაში ავარჯიშებსო. რუსელს არ სჯეროდა ეს, მაგრამ უტყუარი ფაქტებით დარწმუნდა, რომ ეპისკ. ვლადიმერი მართლაც რყენიდა და აწვალებდა იმ ყმაწვილებს, რომლებიც ბედმა მას ხელში ჩაუვდო. რა გასაკვირველია, რომ მართლ-მადიდებელნი უკმაყოფილო იყვენ ასეთი მღვდელმთავრისა და არა ერთხელ სთხოვეს უწმ. სინოდს მოეშორებიათ მათთვის ვლადიმერი, როგორც უღირსი მღვდელმთავარი. მიტინგიც არა ერთხელ გამართეს, რუსელის თავმჯდომარეობით და უწ. სინოდს ვლადიმერის საგმირო საქმეები აცნობეს. გაიგო თუ არა ეს ეპ. ვლადიმერმა, დაიბარა რუსელი თავის კონსისტორიაში დასარიგებლათ, შესანანებლათ და უკანასკნელ შემთხვევაში გასამართლებლათ, როგორც ღვთის მოწინააღმდეგე. რუსელმა, რასაკვირველია, მას ყურიც არ ათხოვა, რის შემდეგ ეპ. ვლადიმერმა ერთ შევნიერ დღეს, დიდებული წირვის შემდეგ, რომელსაც პრესის რამდენიმე წარმომადგენელიც დაესწრო, სტენკა რაზინთან, გრიშა ოტრებიევიან და პუგაჩოვიან ერთათ შეაჩვენა რუსელიც და ოფიციალურათაც გამოაცხადა თავის განკარგულება. ამის შემდეგ რამდენიმე პირმა ფორმალური საჩივარი აღძრეს უწმ. სინოდში, ეპ. ვლადიმერი სოდომის ცოდვის ჩამდენიაო. სინოდმა დანიშნა გამოძიება, სამარცხვინო ფაქტები დამტკიცდა. ეპ. ვლადიმერს უბძანეს დაეტოვებია ეპარქია და რუსეთში წასულიყო. რუსეთის კონსულმა-კი შემდეგი დებუმა მიიღო: „სინოდმა უკანონოთ სცნო რუსელის შეჩვენება. შეიძლება გამოაცხადო გაზეთებში“ აწ უკვე გადაცვალებული სინოდის ობერპროკურორი პობედონოსცევი-კი დებუთით ატყობინებდა რუსელს: „წერილი მივიღე, პასუხს გაძლევ ფოსტით. ეპისკოპოსი გამოვიწვიეთ. მეტი თქვენ რა გსურთ? პროცესი ყველასათვის არასასიამოვნო იქნება“.



ეპ. ვლადიმერი არ დაემორჩილა სინოდის განკარგულებას; თუმცა მისი მოადგილე სან-ფრანცისკოს მოვიდა, მაგრამ ეპარქია არ ჩააბარა და არც რუსეთს წამოვიდა. სასამართლოში საქმის გარჩევის დღეს უმთავრესი მოწმეები არ გამოცხადდნენ; ფულიანმა ეპისკოპოსმა ისინი ზოგი რუსეთში გაგზავნა, ზოგიც სხვა შტატებში; საქმე სასამართლომ მოსპო და ეპ. ვლადიმერი შემდეგი სიტყვებით გამოისტუმრა: „გათავისუფლებით მიტომ კი არა, რომ უღანაშაულოთ გცნობთ, არამედ იმ ეკლესიის პრესტიჟის პატივსაცემლათ, რომლის წარმომადგენელი თქვენ ხართ“. ამის შემდეგ რუსეთის კონსულმა ოფიციალურათ გამოაცხადა, რომ უწმ. სინოდს ეპ. ვლადიმერი რუსეთში არ გაუწვევია, ადგილიდან არ დაუთხოვია და ისევ მართლ მადიდებელი ეპარქიის მართველია ამერიკაშიო. ასეთი ცირკულიარის შემდეგ მართლ-მადიდებლებმა დაანებეს თავი უწმ. სინოდსაც პობედონოსცევსაც და ვლადიმერის საქმე ამერიკის სასამართლოს გადასცეს. საქმე გამოიძია განსაკუთრებულმა კომისიამ. დღესავით ნათელი იყო, რომ ეპ. ვლადიმერი სოდომის ცოდვის მომქმედი იყო. ის იყო ვლადიმერი უნდა დაეპატიმრებიათ, რომ ის სან-ფრანცისკოდან მიიმალა და მალე რუსეთში ამოყო თავი, სადაც ჯერ ვორონეჟის ეპარქიაში მსახურებდა ვიკარათ, მერე ორენბურგში ეპისკოპოსათ და ბოლოს, მგონი, ეკატერინებურგში. 1895 წელს ობერ-პროკურორის წარდგენით, უწმ. სინოდმა ორდენით დაასაჩუქრა იგი სამსახურისათვის.

აი ლეთის-მოსავი ეპისკოპოსი და სამართლიანი სასულიერო მთავრობა!.. კომენტარები საჭირო არ არის.

უ—ლ.



კაპიტალისტებიც დაირაზმენ.

ძლევა-მოსილმა მუშათა მოძრაობამ საგრძნობი ზიანი მიაყენა რუსეთის კაპიტალისტების ჯიბეებს. მაგარი პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციების შექნით, სოლიდარული მოქმედებით და მედგარი ბრძოლით მუშებმა შესამჩნევათ გაიუმჯობესეს თავიანთი ქონებრივი მდგომარეობა და დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ მოქალაქობრივი უფლებების მოსაპოვებლათ. რუსეთის ბურჟუაზიამ თავის უფლებების დაცვა ერთ ხანათ თვითპყრობელ ბიუროკრატის მიანდო, რომელმაც თავისი ხეპრე მოქმედებით არა თუ ბოლო ვერ მოუღო მუშების გაფიცვებს, არამედ ერთი ათათ გაამწვავა არსებული დამოკიდებულება ხაზენებსა და მუშებს შორის, და

გაფიცვების რიცხვმაც შესამჩნევათ იმატა წინა წლებთან შედარებით*). ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, რომ სოციალური კითხვა რომელიმე ქვეყანაში კაზაკების მათრახებს გადაეწყვიტოს. მთავრობის ასეთ სამსახურისთვის რუსეთის ბურჟუაზია არ დარჩა მადლობელი და კმაყოფილი. რუსეთის ბურჟუაზიას მისმა სოციალურმა მდგომარეობამ უკარნახა თვითონ დაეცვა კაპიტალის ინტერესები მუშების „ბო-

წლები *)	რიცხვი დაწესებულებისა	რიცხვი გაფიცვაში მონაწილ. მიმღებთა.
1895	68	31,195
1896	118	29,527
1897	145	59,870
1898	215	43,150
1899	189	57,498
1900	125	29,389
1901	164	32,218
1902	123	36,671
1903	550	86,832

როტმოქმედებისაგან“. რუსეთის ბურჟუაზიამ მადლობის მაგიერ მომაკვდავ ბიუროკრატის თავისებური წიხლი ჩაკრა და პოლიტიკური სადავის ხელში ჩაგდება განიზრახა, ასე თანდათანობით იზდებოდა რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური შეგნება და თვალსაჩინოთ იცვლებოდა მისი დამოკიდებულება არსებულ სახელმწიფო მექანიზმთან. მაგრამ გაცილებით შორს წავიდა რუსეთის ბურჟუაზია იმ ზომების გამოგონებაში, რომლებიც მას სჭირდება მუშების წინააღმდეგ საბრძოლველათ. ამ მხრით არა თუ ჩამორჩა ის ევროპის კაპიტალისტებს, არამედ ისარგებლა მათი გამოცთილებით და ლამის კიდევაც გადააჭარბოს თავის უფროს თანამომეებს.

პირველი და უმთავრესი საშვალეება, რომელსაც რუსეთის კაპიტალმა მიმართა მუშების წინააღმდეგ საბრძოლველათ, იყო ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციის შექნა და მასში თავის მოყრა და მჭიდროთ შეკავშირება იმ ბურჟუაზიული ელემენტების, რომლებიც ძირიან-ფესვიანათ ეწინააღმდეგებიან მუშათა კლასის მიზნის განხორციელებას. ამის მაგალითი რუსეთის ბურჟუაზიას თვით მუშათა კლასმა მისცა საკუთარი ძლიერი, პოლიტიკური პარტიის შექნა; მისთვის საკმარისი იყო მხოლოდ წაებაძა მუშებისათვის, რომ თავისი პოლიტიკური ორგანიზაცია შეექნათ. ეს კიდევ შეასრულეს. ს. დემოკრატიულ პარტიასთან ერთათ დღეს ჩვენ გვესმის კადეტთა, ოქტობრისტთა და მშვი-


(იხ. ვ. ტოტომიანი—„მუშათა მოძრაობის“ ფორმები .(

დობიანი განახლების პარტიათა სახელწოდება. აი ის პარტიები, რომლებიც თავიანთ „კონსტიტუციონალურ“ დროშის ქვეშ კრებენ რუსეთის ბურჟუაზიულ მასას და მისი სოციალ-პოლიტიკური მისწრაფების გამომხატველნი არიან... მაგრამ რუსეთის ბურჟუაზია მარტო პოლიტიკური ორგანიზაციის შექნით არ კმაყოფილდება მან კარგათ იცის, რომ რუსეთის პროლეტარიატს, გარდა პოლიტიკური ორგანიზაციისა, აქვს ეკონომიური ორგანიზაციაც, პროფესიონალური კავშირები, რომლების დანიშნულებაც ისაა, რომ მათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშებს ხაზენებთან ბრძოლაში ეკონომიურ ნიადაგზე, ე. ი. ცხოვრების ნივთიერ პირობების გასაუმჯობესებლათ გამოწვეულ ბრძოლაში. აქაც არ ჩამორჩა კაპიტალი შრომას, აქაც ბურჟუაზიამ ისარგებლა პროლეტარიატის მაგალითით და შექნა მაგარი კავშირები მუშების პროფესიონალურ კავშირების დასაპირდაპირებლათ და მათი „უსამართლო მოთხოვნების“ წინააღმდეგ საბრძოლველათ. დღეს უკვე რუსეთის თვალგადუწვდენელ ტერიტორიაზე ობობას ქსელსავით არიან გაბმული კაპიტალისტების ასეთი კავშირები, როგორც ადგილობრივი აგრეთვე საოლქოები. ასეთებია, მაგალითათ: შაქრის ქარხნების პატრონთა კავშირი პოლშაში, სამხრეთ რუსეთის მთა-მადნეულობის მრეწველთა კავშირების საბჭო; კავშირები ტიპო-ლიტოგრაფიების პატრონებისა პეტერბურგში, მოსკოვში და სხვა ქალაქებში, პეტერბურგის საქარხნო მრეწველობის განვითარების დამხმარე საზოგადოება, პეტერბურგის ლითონის ზავოდების პატრონთა კავშირი, ნავთის მრეწველთა კრების საბჭო, ცენტრალური სამრეწველო რაიონის მექარხნეთა და მეფაბრიკების საზოგადოება, ჩრდილოეთის რაიონის ლითონის მექარხნეთა კავშირი და სხვა.

აი ორი უმთავრესი ფორმა კაპიტალისტთა ორგანიზაციისა—პოლიტიკური და ეკონომიური. ახლა გავითვალისწინოთ მოკლეთ, რა ბრძოლის საშვალეებს მიმართვენ ხოლმე ბურჟუაზიის ეს პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციები. აქაც აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც საორგანიზაციო ფორმები არ შეუქმნავებია ორიგინალურათ რუსეთის ბურჟუაზიას, ისე არც საბრძოლველ საშვალეების გამოგონებისათვის უმტერვეია თავი ბურჟუაზიულ პარტიების ბურჟუა ინტელიგენტებს. მათთვის საკმარისი იყო დასავლეთ ევროპის ცხოვრებას გაცნობოდენ და იქ მზა-მზარეულ, ნაცად საშვალეებს იპოვიდენ თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების დასაცველათ. ეს ასეც მოხდა. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ ბრძო-

ლის საშვალეებს, რომლებსაც ხაზენები მიმართავენ ხოლმე, როდესაც მათ კონფლიქტის უსდებით მუშებთან ეკონომიურ ნიადაგზე.

კაპიტალის საბრძოლველ საშვალეებში პირველი ადგილი უჭირავს ლოკაუტს. სიტყვა ლოკაუტი ინგლისურათ ნიშნავს დათხოვას, გამოგდებას, მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა ასე ვიწროთ ავხსნათ. მართლაც, მუშის ყოველ დათხოვას ან გაშვებას კი არ ეწოდება ლოკაუტი. ჩვენ ხშირათ, ხან-გამოშვებით, სამრეწველო კრიზისების მძინვარების დროს, ბევრი სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებანი კოტრდებიან. კაპიტალისტები იძულებულნი ხდებიან დახურონ, ან შეამოკლონ წარმოება. ყველა ამას შედეგათ ის მოყვება, რომ ათასობით ულუკმაპურით დარჩენილ მუშებს ქუჩაზე აგდებენ ბედის ანაბარათ. მაგრამ ამგვარ შემთხვევას ჩვენ ლოკაუტს ვერ ვუწოდებთ. ლოკაუტია მხოლოდ მუშების ისეთი მასიური დათხოვა, რომელსაც ხაზენები მიმართავენ ხოლმე იმ მიზნით, რომ მუშები აიძულონ დათმობაზე, ხელი ააღებონ მოპოვებულ უფლებებზე და მოთხოვნილებებზე და მონურათ ქედი მოახრევიონ ძლევა მოსილ ფულიან ტომრის წინაშე.—საზოგადოათ ლოკაუტის გამოცხადებაში მთელი ხაზენ-კაპიტალისტთა ჯგუფი ღებულობს მონაწილეობას, მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება ლოკაუტის აუცილებელ თვისებას არ წამოადგენს, ვინაიდან ერთ ხაზენსაც შეუძლია ლოკაუტს მიმართოს, თუ კი ის ამისათვის საჭიროებას და ძალას გრძნობს. ჩვენში ლოკაუტი დიდი ხანი არ არის რაც შემოიღეს კაპიტალისტებმა; სულ დიდი—ერთი წელიწადი თუ იქნება, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაშიაც საგრძნობელი ზარალი მიაყენეს მუშებს და მათ პროფესიონალურ კავშირებს. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ ლოდის დიდი ლოკაუტი, რომელიც გამოცხადებული იყო 30,000 მუშის წინააღმდეგ და გაგძელდა თითქმის სამ თვეზე მეტს. მარა თუ წარმოდგენა გვინდა ვიქონიოთ იმაზე, თუ რამდენათ მნიშვნელოვანია ეს ბრძოლის საეუალეება კაპიტალისტებისათვის, ან რამდენათ აქვს პრაკტიკულ ცხოვრებაში ადგილი, ავისათვის უნდა მივმართოთ ისეთ ქვეყანას, სადაც თანამედროვე საწარმოო წესი უფრო განვითარებულია, ვინემ რუსეთში. ავილოთ თუ გინდ გერმანია. აქ ექვსი წლის განმავლობაში, 1900—1906 წ., 584 შემთხვევა იყო, რომ ლოკაუტი გამოაცხადეს. ლოკაუტისაგან დაზარალებულ მუშების რიცხვი ამ ხნის განმავლობაში უდრიდა 251,093 კაცს და ქალს. მარტო 1905 წელს გამოცხადებულ იქნა კაპიტალისტები-



საგან გერმანიაში 253 ლოკაუტი; მხოლოდ ლოკაუტებისაგან დაზარალებულ მუშათა რიცხვი ამ წელს იყო 144,047. 1906—1907 წლებში ლოკაუტების რიცხვი გაცილებით მეტია და მათგან დაზარალებულ მუშათა რიცხვიც ყოველ-წლივით იზრდება. ასე სასტიკათ მძვინვარებს გერმანიაში ლოკაუტი,—ეს საშინელი ბრძოლის იარაღი მუშების წინააღმდეგ. ასეთივეა ლოკაუტების აწმყო ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში და სხვაგან. ასეთივე იქნება იგი რუსეთშიაც.

დათოკა.
(გაგძელება იქნება).



დედ-მამა.

(ებოუდი).

— იკვნესე, ითვალთცრემლე მუდამ წამს, არ დაისვენოს შენმა გულმა! დაიმწარე სიცოცხლე და მეც მომიშხამე ეს მოხუცებულება. ასე ესაყვედურებოდა ერთ დილას თავადი ამ რინდო ძველასწვილი თავის კნენას, რომელიც ლოგინში იწვა და გულსაკლავათ კვნესოდა, გმინავდა.

— რა ვქნა, რომ ვერ შევსძელ მომეკლა ჩემშივე ეს დამწველ-დამტანჯველი დარდები; რა ვქნა, რომ ვეღარ შესძლო ჩემმა გულმა ამდენი მწუხარების ატანა, მე განა ვერა ვგრძნობ, ჩემო ამერინდო, რომ მწუხარებას მოუტავს შენი ოდესმე მზიარული ოჯახი? ვერა ვხედავ, რომ დღითი დღე იხრწნება იგი, მცირდება, პატივი და დიდება ეკარგება ხალხის თვალში? ვერ გამჩნევ შენს მუდამ მზიარულ პირის სახესე მწარე კაენის აჩრდილს? ვამჩნევ, ვხედავ, ვგრძნობ და კიდევ ეს არის, რომ გულს მიღონებს, სულს მიშფოთებს და მუდამ სამწუხარო ცეცხლის ალს მიკიდებს. რანი ვიყავით და რანი ვართ?! სიკვდილი გვიჩვენია ასეთ მდგომარეობას. სიკვდილილა გვისხნის სირცხვილისაგან: შრომა ჩვენ არ ვიცით, მამულის შემოსავალი მშრომელი ხალხის ხელშია. დღეს გლეხი ბატონობს მიწას და ჩვენ კი მისი პირში შემჩერე ვართ... სწავლის იმედი მქონდა, შვილები ყველა სასწავლებელში მივეციო და ვაი ჩვენს გაგონებას, ყველანი კარზე მოგვადგენ, ყველანი ჩვენ საჭირ-ბოროტოთ გახდენ, მუქთა მქამლები დაგვეზარდენ...

— ეს კი არ მწყენია, ჩემო ქეთევან! არ მწყენია მიტომ, რომ არ დამიჯერე?! სული ამომამძვრე, ადგილ-მამული გამაყიდვიე, გლეხები გამათავისუფლებიე და ეს აუარებელი ქონება სულ შვილების სწავლაზე დამაფლანგვიე. არ გეუბნებოდი, რომ ამ ბავშებს მუშაობა ვასწავლოთ და აქვე გვერდში

ვიყოლიოთ მეთქი... ჰოო! ხომ არ დამიჯერე? ახლა მოდი და იკრუსუნე! იკვნესე რამდენიც გინდა, მამა! მორჯულებას ვეღარ მოესწრები...

ჩემს სიცოცხლეში არ ამოვა გულის სიღრმიდან ის მწუხარება, რომელიც გლეხების გათავისუფლებამ მე მომაყენა რაღა თავადია ის თავადი, რომელსაც გლეხები არ ყავს. სხვას დავსცინოდი და დღეს მე თვითონ სასაცილო შევიქენი. მერე ვისით? ვინ არი? ამის მიზეზი? შენ, კნენავ, და შენი შვილები. შენ, ქეთევან, და შენი დაჟინება: ვასწავლოთ გაყვიდოთ. შვილებს გავუგზავნოთ თუ რამე გაგვაჩნიაო. აი ესეც შენი შვილები. მოგივიდენ. სახლში რძანდებიან. დაუძახე, მოელაპარაკე, კითხე, რისთვის მობძანდენ ასე ადრე, ალბათ მიზეზი იქნება რამე?...

— როგორ? შენ კიდევაც კითხე?

— ვკითხე.

— მერე, რა გითხრეს. ასე ადრე რათ მოვედითო?

— აი ავერ ბძანდება დაუძახე და თვითონ გაგახარებენ, კაი ამბავს გეტყვიან!

— რატომ იცი, ამერინდო, ჩემი წვალეა? განა ახლა ხუმრობის დროა?! განა ახლა ასე უნდა მომეპყრა? სული კბილით მიკავია. გულის ძვერადღითი დღე მიძლიერდება. ერთი ზედმეტი სიხარული, ანუ მწუხარება მოუღებს ბოლოს ჩემს არსებობას. მითხარი, მითხარი, ნუ გააზვიადებს!

— რა უნდა გითხრა ქეთევან! რაღა პარში უნდა მოგეფერო! რაც დღეს ჩემს ოჯახს გასაჭირი ადგია, ეს სულ შენი და შენის შვილების ბრალია!..

— ჰო, ჰო! გითხარ ნუ მისაყვედურებ მეთქი! ამას თავი დაანებე! შენ ის მითხარ: ბავშებმა რა გითხრეს? რისთვის მოვედით ასე ადრე, ასე უჩვეულებრივოთო.

— მთელი ორი დღეა, ველაპარაკები და დღეს რავარც იქნა, კოწიამ მითხრა ორი სიტყვა.

— რაო? რისთვის მოვედითო?

— რისთვის და სასწავლებელი დაკეტესო?

— როგორ? ასე უმიზეზოთ სასწავლებელს ვინ დაკეტავტა.

— მიზეზი ის ყოფილა, რომ მოსწავლეებს „უბუნტებიათ“ და ყველაფერი დაუმსხვრევიათ...

— მერე ჩვენი ბავშები ხომ არ გარეულან?

— როგორ არა. ყველა ყოფილა. მთელი სასწავლებელი დაკეტილია და ბავშებიც შინ გამოუგზავნიათ. კოწია ერთი კვირე დაჭერილიც ყოფილა და ისე ტკბილათ მომიყვა ამ ამბავს, რომ თითქო სადმე მეჯლისში ყოფილიყოს დაპატიებულის. მე „სატუსალოს“ მარტო გაგონებაც კი მაშინებს და

შენს შვილს „ვაჟაკობათ“ მიაჩნია... ღმერთო! ღმერთო დიდებულო! რა დროს მოვესწარი, რა დროში ვსცხოვრობი!..

— შენ ყოველთვის გადამეტებული ლაპარაკი იცი, ამირინდო! მაგას რაღა დავიჯერებ, რომ ჩემი კოწია სატუსალოში მჯდარიყოს... მისთანას რას ჩაიდენდა კოწია, რომ სატუსალოში ჩაეჯინათ. ის მაინც ხომ პანსიონში იყო. იმას ხომ ყველაფერი უხვათ ქონდა. უკმაყოფილება ვისთან ექნებოდა. ალბათ შენ გაგაჯავრა და გიხუმრა?!

— დიახ, ნამდვილათ მიხუმრა! ა, ბატონო, კოწია და დაუძახე! კითხე და კიდევ ბევრ ძვირფას თვალმარგალიტებს გაგიფენს თვალის წინ. მე კიდევ ბევრი დავიფარე, აღარ გითხარი. უღონოთ ხარ და აღარ შეგაწუხე, თორემ გუშინ მთელი დღე აღელვებისა გამო მოუსვენრათ ვიყავი. ოცნებამ შორს გამიტაცა და დიდხანს ვაოცებული დავდიოდე.

— ვარდისახარ!

— ბატონო! რას გვიბძანებთ!

— წადი, კოწია მოძებნე, დედამ გთხოვა ამ წამს ჩემთან შემოდითქო!

— კოწია, ქალბატონო, მუშებს ადგია თავზე და რალაცას უქადაგებს. — მოახსენა მოსამსახურემ და კოწიას დასაძახებლათ წავიდა.

— აი, ნაყოფი შენი განათლებისა, ჩემო ქეთევან. ჩვენი გაჭირვება მაგათ ფეხებზე კიდი... რაღაი მოვიდენ, ან სულ ყაზახეში ყრიან, ან ატყდებიან და ქაქანობენ, იბრძვიან, ჩხუბობენ, გეგონება, აი აგერ ეტაკებიან ერთმანეთს და აი აგერო, სულ მაგ ოხერ წიგნების კითხვაში და გლეხების ქადაგებაში ატარებენ მთელ დღეებს. ახლა სადილვახშმის დროს უნდა უყუროთ, რას ლაპარაკობენ. ღმერთო, ღმერთო, რა ესმის ეს ჩემს ყურებს. გლეხი და გლეხი, მუშა და მუშათა კითხვა, საწყლები და ლარიბები, აი ამის მეტი მათ პირიდან არ ამოსულა ეს სამი-ოთხი დღეა. მე განგებ ვუვლებდი ყურს და ერთხელაც არ უხსენებიათ ჩვენ, თავდაზნაურები, ერთ დღეს გვახსენეს და ნეტაი არც იმ დღეს ვეხსენებეთ, ნეტაი ჩემს ყურებს არ გაეგონა, ქეთევან, ის სიტყვები, რომელიც ჩემი შვილების პირიდან ამოვიდა... ნეტავი ვინ შეაძულა მათ ჩვენი თავი, ვინ იყო ჩვენი მოსისხლე მტერი? ვინ, ვინ გამომჭრა უდანოთ ყელი? ვინ დაამხო ჩვენი ოჯახი, ჩვენი დიდკაცობა, მამაპაპური თავმოყვარეობა. ღმერთო, ღმერთო, გვიხსენ ამ გაჭირვებისაგან.

— მე კიდევ იმ აზრისა ვარ, ამირინდო, რომ ჩვენი შვილები სხვებს არ აყვებიან... ყაზახის შვილებს ჩვენი შვილები მხარს არ მისცემენ, თავს არ

დაიმცირობენ... რატომ იცი უცებ საქმის გადაწყვეტა. რატომ კარგათ არ დაუკვირდები საქმეს?

— დიახ, სრულ სიმართლეს ბძანებთ, კენი-ნავ! არ იკადრებენ, თავს არ დაიმცირობენ, ყაზახის შვილებს მხარში არ ამოუდგებიანო... აი ხომ მოისმინე ვარდისხარის სიტყვები. კოწია მუშებშია და რალაცას უქადაგებსო... ეს კმარა შენი რწმენის საწინააღმდეგოთ... ოხ, ნეტავ კარგათ იყო, ადგომა შეგეძლოს და აი, ამ სახლის აივნიდან დაგანახვები შენს კოწიას, მუშებში გარეულს და რალაც სისულელის მოქადაგეს...

— აი მოვედი, დედა, რას მეძახოდი! — უცებ კარი გაიღო და კოწია დედამისის ოთახში რალაც უკმაყოფილო გაჯავრებული შემოვიდა...

— აგრე გულმოსულათ რათ შემოხვედი, შვილო! ვინ გაგაჯავრა? მუშებს ხომ არა უთქვამთ რა ცუდი, ან საწყენი?..

— არა, დედა ჩემო, მუშები რას მეტყოდენ საწყენს. საწყენი ის იყო, რომ იმათ ველაპარაკებოდი და ეს სასარგებლო საუბარი გამაწყვეტიეთ. დამიბარეთ, მითხარით მაინც რა გინდათ, რისთვის მეძახოდი?!

— ნუ თუ, შვილო, ისე გაგიცივლათ და დავგეშოთ პატივის ცემის გრძობა, რომ მუშებთან ბასი გირჩვენიათ ჩემთან ყოფნას და ლაპარაკს?! თუ მშობლიური სიყვარული წათელა სხვა სიყვარულმა, სხვისმა პატივისცემამ?!

— არა დედაჩემო! შენ მიყვარხარ. შენთან ყოფნაც მესიამოვნება, მაგრამ...

— მაგრამ რა? სთქვი, ნულა გერიდება.

— მაგრამ ის, დედაჩემო, რომ ახლა თავისუფალი დრო ძვირფასია. ყველა ჩვენგანი ვალდებულია უბრალოთ არ დაკარგოს იგი. თვითეულ წამს, გონიერათ მოხმარებულს, შეუძლია მთელი წლის სარგებლობა მოიტანოს... მე კარგათ მესმის ეს და ვცთილობ დრო არ დავკარგო და მოძმის საკეთილდღეოთ მოვიხმარო იგი.

— რა დრო, რის დრო? მე შენი სიტყვები სრულებითაც არ მესმის და არც მინდა ვიცოდე. აქ ახლოს მოდი და რაც გკითხო იმის პასუხი მომეცი!

— ასე ადრე რათ მოხვედი?

— მიტომ, რომ სწავლა აღარ არის. სასწავლებლები ყველგან დაკეტეს.

— მიზეზი?

— მიზეზი — არეულობა. ბავშვებმა „იბუნტეს“, სწავლას უარი ყვეს და თავთავის სახლებში წავიდწამოვიდენ.

— შენ ხომ არაფერში გარეულხარ?

